

1  
1962

ნახ. ვ. ჭუმბურიძესა



სასკოლო პროგრამების გადატვირთვის გამო მოსწავლეებს ზოგ-  
ჯერ დღეში 10-12 საათი უხდებათ მეცადნეობა.



№ 9 თბილისი გამსი 1962



— ცოტა კიდევ გავუძლოთ. სასწავლებელს დავამთავრებთ და ჩვენი მშობ-  
ლებივით 7 საათს ვიმუშავებთ დღეში, მაშინ გართობისა და სეირნობისათვისაც  
დაგვრჩება დრო.

გამოცემა XXXX წლი, ფასი 20 გრ.

# თბილისელი „ფაზრიკანიანი“

ურთვევები  
გიგანტები

როდესაც აზატ ხაჩატურიანი გაჩნდა ამ ქვეყანაზე, ნათლიამ ბერი იფიქრა სახელშე და მერე გადაწყვიტა — აზატა დაერქმია. დაე, თავისუფალი იყოს, არც ვინჩემ შეაწუხოს და არც რამემო ცენობებულმა ნათლიამ სინდის-ნამუსისაგანაც გაააზატა თავის ნათლული.

გავიდა დრო, აზატამ ენა და ფეხი აიდგა, ჰეჭუაში ჩადგა, მერე ხარაზობა ისწავლა და ფაბრიკაშიც კი დაიწყო მუშაობა. „ვაძ, — ფიქრობდა აზატა, — ეს ფაბრიკა რომ ჩემი იყოს, ხომ გავგეთდებოდი შევი დედალივით, ან, ნეტავ უფლება მომცენ, რომ საკუთარი „შოგაწყო“, ფულის შოგნის წყურებილი ჯიგარში გაუჯდა ხაჩატურიანს. „ვითომ რა, უფლებას რომ არ მაძლევენ, ისე არ იქნება? რა მიამიტო ვინჩე ვარ! აბა ვინ მეტყვის: აზატჯან, თუ კაცი ხარ, ერთი, ფაბრიკა მოაწყე, როგორც გინდა და იცხოვრე, როგორც გაგეხარდებაო“. ხაჩატურიანმაც ბევრი ფიქრით თავი არ შეიწუხა, ფაბრიკას თავი დაანება და თავის საცხოვრებელ სახლში — ნათლულის დასახლება, მერვე შესახვევი № 4 — პატარა სახელოსნო მოაწყო.

აზატა მარტო მუშაობდა, მაგრამ საქმე მაინც აღმაგალი გზით მიდიოდა, წარმოების ლოგიკამ სახელოსნოს გაფართოება დასვა დღის წესრიგში და ხაჩატურიანმაც არ დააყოვნა, ხელოსნები მონახა, საჭირო იარაღებით აღიჭურვა და გაჩაღდა დღიდ შემოქმედებითი შრომა. გიტარასავით ააწყო საქმე აზატამ, ტყავსა და საჭირო ნედლეულს ტყავისა და ფეხსაცმელების ფაბრიკიდან შოულობდა, მზა პროდუქციას კი სარეალიზაციო მაღაზიებს აბარებდა, მოგებულ ფულს თვითონ იდებდა ჯიბეში და ნაწილსაც „თანამშრომლებს“ უყოფდა. გასუქდა, გაიმართა, გაზულუქდა აზატა. ბიჭი არ ფყო, თუ მთელ თბილის ჩემი შეკერილი ტუფლები არ ჩავაცაო, გაიქაჩი იგი, შაგრამ ძალიან თეთრი ძაფით შეკერილი გამოდგა აზატას ფაბრიკის მიერ გამოშვებული ფეხსაცმელები და ადგილზე შეამოწმეს წარმოება, სადაც „ფაბრიკანტს“ აღმოაჩნდა სამოცდაექვესი წყვილი ქალის ფეხსაცმელი, სამოცდათორმეტი წყვილი ნახევრადფამრიკატი და უამრავი საპირედ გამზადებული დაჭრილი ტყავი.

მოიშალა აზატას საქმე გიტარასავით, სადაც თითო სიმი მაღაზიების, ტყავისა და ფეხსაცმლის ფაბრიკების მუშავებიც არიან.

გაუგეირდა აზატას, როდესაც ყური აუწიეს და ორთაჭალისაკენ მიმავალ გზას გაუყენეს დახურული მანქანით...

— რა გინდათ, კაცო, დანაკლისი მაქეს? არა მაქეს. ზედმეტი საქონელი მაქეს? არა მაქეს. ბალანსი სწორად არ არის შედგენილი? არ არის. წუნს ვუშვებ? არ ვუშვებ. მაშ რატომ არ მიშვებთ?

აბა, თუ მიხვდები, აზატა, რატომ არ გიშვებენ. ყველა ნიჭიერ წამოწყებასა და თაოსნობას, როგორც წესი, თავისი მიმღევარი გამოუჩნდება ხოლმე. არც აზატ ხაჩატურიანის მრეწველური ინტელექტის გაელება დარჩენილა ჩაგალოდ. იგი მრავლად დაინერგა თბილისის სხვადასხვა უბნებში, ზოგმა ეს წამოწყება უფრო გააფართოება, მოდერნიზებული და პოლიტექნიკური გახსად.

## ურავარი ნაკარები

პურისმცხობელი თონეში ყირაზე გადადიოდა, გამყიდველი კუ ხალტურას აქეთებდა.

კირისუფლებმა მექანიმეს ნათურა ჩაატანეს საფლავში — ურთამი ჭოჭოხეთს ანთებსო.

შოფერი გალეშილი მიუჯდა საჭეს, „უი, დამიდგეს თვალიო“, წამოიკირა მანქანამ.

ცუდ დალაქთან თავი უნდა მოიქაჩილო და კარგთან დაჭდე, მაგრამ თავის მოქაჩილება მასთანაც დაგჭირდება.

ომეგა ალზაიძე



ვინ იცის, რამდენ ჩვენთაგანს უყიდია თბილისის № 2 ფეხსაცმელების ფაბრიკის მიერ გამოშვებული ქალისა თუ კაცის ტუფლები და აზრადაც არ მოსვლია, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ კუსტარული წესითა დამზადებული და, რომ ამ საქმის დიდოსტატი, აზატას დიდი საქმის ღირსეული გამგრძობი — გიორგი პეტრიანი „თვით-შემოქმედებისათვის“ პასუხისმგებაშიაც კი იყო მიცემული.


პეტრიანის „ფეხსაცმელების ფაბრიკა“ კი ყეთის ქ. № 40ა-ში იყო მოთავსებული. გიორგი ფართო ასორტიმენტის ფეხსაცმელებს უშვებდა ქალისას, მამაკაცისას და სეზონურისაც. ხელში ეჭირა დამბა, რომელსაც „თბილისის № 2 ფაბრიკა“ ეწერა და ურტყამდა და ურტყამდა. კაცმა რომ სიმართლე თქვას, პეტრიანისა და ფაბრიკის ფეხსაცმელები ისე გავდენ ერომანეთს, როგორც შუაზე გაჭრილი გაშლის ნაწილები. პეტრიანს მეორედ მოუწია ფაბრიკის დახურვამ და, იმედია, ვიდრე მესამედ მოაწყობდეს, თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა ისეთ „მოდებს“ გამოუშვებს, რომლის მსგავსსაც ვეღარ დაამზადებს ვერც პეტრიანი, ვერც ხაჩატურიანი და ვერც მსგავსი მათნი.

მოგითმინოთ, ვნახოთ, პეტრიანსა და ხაჩატურიანს კი, ალბათ, მანამდის დააცდევინებენ.

### 3. ნიკოლოზიზვილი

ნახ. 6. მალაზონიასი


მემრთაშის პარაგმაზი



— თქვენს იქით გზა არ მაქვს, მხოლოდ თქვენ შეგილიათ გააკეთოთ ჩემი საქმე!

— როგორ გავაკეთო, როცა თვალით ვერაფერს ვხედავ და უურში არაფერი მეუურება?

# ეკიპაჟი — მამ ჩატანება



— მიცნობდეთ! ინჯინერი ამირან დურგლიშვილი, უცოლ-შვილი, — ასე წარუდგა საგარეჯოელი დონ-შანი თბილისებრ ნ.დ.-ს.

— ნუთუ თქვენ, ცო...

— ას, როგორ გეგადურებათ, რას ამზობთ, რის ცო-ლი, რა ცოლი, რის შვილები, რა შვილები?!

მართალია ნაშესის ნიშნად ამირანს ულფშისთვის ერთი ღერია არ მოულია, მაგრამ ქალს სამუთად, გულის ნაცვლად, ახალი მასორტი გადაუშალა. „ინჯინერს“ ძველი პასპორტისთვის „ტუშების“ მოშო-რება არც თუ ძალიან გაძნელებია, ამბობენ, ამ საქ-მეზე საგარეჯოს რაიმილიყის სამასორტო განყო-ფილებაში სულ რაღაც 500 მანეთი (ძველი კურსით) დაეხარჯა.

— ჯერ თქვენსავით არავინ მომწონებია, ჩემთ ხვალინები დღევანდ თქვენ და მხოლოდ თქვენ უნდა გახდეთ ჩემი ცხოვების მუდმივი თანამდებარი, — ასეთი სიტყვებით მიმართავდა „გამიჯნურებული“ ვაჟაც კედისაგან თავბრუდავეველ ქალს.



„გეველსა ხვრელით ამირიკანს ენა ტკბილად მო-უბარი“, — იორმუნა ქალმა თმაშევერცხლილი ვაჟ-კაცის სიტყვები და მაღვე მმარის ბიუროში ხელის მოწერით დაუდასტურა თავისი თანხმობა.

დაჯდა წევედ ამირანი, ეს იყო 1960 წლის შე-მოდებომაზე, მაშინ, როდესაც მერცხლები თბილი ქვეყნებისაკენ მიტონიან.

ოჯახის წევრები მხარულობდნენ, სადღერძელო-ები წესისამებრ ისმებოდა. სიძის ქება არ მთავრდებოდა: „განათლებული“, „ზრდილი“, „სამაყო“, რომელიცა რომა... და სხვა ამგვარი სიტყვების კო-რინტელი იდგა.

— შართლაც, რომ ამირანია, ნამდგილი რანდი, სიძი თვალის სინათლე! — ლაპარაკობდნენ ნაცხა-ვები და აქლობლები.

საგარეჯოელი დონ-შეანი თბილისში ჩატერა, ვა-უა-ფშაველას პროსპექტზე ერთოთხან იზოლირებულ ბინაში მოიკალათ. ცოლის კისერზე შესკუპდა და შეტბო გასაგრილებლად წყნეთიდან მონაპერ ნიავს მიუშვირა. ცოლის უულებით გმირიშიმა ამი-რანი ახალ კოსტუმში.

— „ასდაც ლამაზ ქალს ენახავ, ოთ ნანია...“ — ჩაიღილინა ამირანმა და ორი თვის შემდეგ სოხუმის ქენ გასწია „საჭირო“ საქმეზე აქ ის დაუახლოება ლენინგრადელ დამსვენებელ ქალს, რომლისგანაც „სამასოებრო“ ოქროს სათო და სხვა ნივთები „გა-მოიყოლია“. ამირანმა „მოაშერხა“ ცოტა ხრით გა-მომარა და ისევ თავის სულიკოსთან გაჩრდა.

— ჩემში მომივიდა, ჩემ ტურფავ, და შეველი — სულიკ დატრილდა, ისესა 5000 მანეთი (ძველი კურსით) და თავის გმირს გადასცა. მან კი ამ თანხმო შეღისამირა აგარაჟშე გაისურია.

ამირანი, მართალი, „დღაგნი“ ინჯინერი ვერ კას-და, როგორც ცოლს პირდებოდა, რადგან განათლება არ ყო (საშუალო სკოლიდან არის გამოსული). სამა-გიეროდ, გიღაცას წყალობით, „გაფაშსოფლელეჭ-რომენის“ შეოთხე სამონტაჟო სამმართველოში ის-ტატის თანამდებობაზე მოიკალათ.

5 აპრილის თარიღით არის შევსილი, მუშაობის

შესახებ აღნიშვნულია, რომ თანახმად საგარეჯოს რაიალმასკომთან არსებული არქივის მიერ დაცემული ცნობისა, ა. დურგლიშვილი მუშაობდა საგარეჯოს რაიალმასკომის კომუნალურ განყოფილებაში ბრიგა-დირა 1950 წლის 20 თებერვლიდან 1960 წლის 20 გარტამდე. სინამდვილეში, თვითიალური დოკუ-მენტების მიხედვით, ამირან დურგლიშვილი საგარე-ჯოში მუშაობდა 1950 წლიდან 1951 წლამდე ამანს გამგედ. შემდეგ მრავალი დანაშაულისათვის მრავალ-წლიანი აბინო მომუშვეს, რაც ცხადა, ვერ ჩაეთველ-ბა მუშაობის სტაჟი.

ამირან დურგლიშვილს რომ ვიდაც კოტილი ძიება სწყალობენ სამსახურში, მრავალი ფაქტით დასტუ-დება: გამულ წესს მას საგარეჯოლმა მოვალეებმა მიუკაუნეს კარებები.

— სულიკ, ეს ყუთები ჩემს თავს გირჩევნია? — მიმართა ცოლს ამირანმა და ხელი გაიშეირა ჯერ მაცივრისაგნ, შემდეგ, სერგანტისაკენ და ბოლოს სა-წოლებისაგნ. მეორე ნაცეკარმა სასტიკი უარი გა-ნაცხადა თავისი შრომით შექნილი ნივთები გაღის გასასტუმრებლად გაეყიდა. მოვალეებმა ახლა თბი-ლისის ორჯონიგისის რაიონის სახალხო სასამართლოს მიმართეს, სადაც ამირანმა სამსახურიდან 1961 წლის 27 ივნისის თარიღით გაცემული ასეთი ცნობა წარ-ადგინა.

„ელევა ესე ამს. ამირან იოსების-ძე დურგლი-შვილს მასზებ, რომ ამჟამად ის არ მუშაობს „აპაბაზსოფლებტრომენის“ შე-4 სამონტაჟო უბან-ზე. ცნობა გაცემულია სახალხო სასამართლოში წარ-საღევნად.“

ამ პატარა ცნობით ამირანმა დიდი საქმე გააკეთა და საგარეჯოელი მოვალეები პირში ჩალაგამოვლე-ბული გაისტურა. ახლა ვნახოთ იმავე როგორი ზოგი მიმდინარე წლის 17 აპრილს გაცემული საბუთი რას დაღადებს:

„ამირან იოსების-ძე დურგლიშვილმა ტრესტ „გავ-კაზსოფლებტრომენის“ შე-4 სამონტაჟო უბანზე ისტატად მუშაობა დაწყო 1961 წლის მარტიდან. ამ დროიდან დაწყებული იგი აქ მუშაობს უშვევიტად და ხელფასს ყოველზოგისად ღებულობს.“

შემი ხალთაში არ დაიმალება — ნათევამია. სა-გარეჯოელებიდან თავის დაძერენის შემდეგ, ა. დურ-გლიშვილს პროველმა კაონიერმა ცოლმა შეუუნა ორჯონებიდებ მოაციობა სიხუმიდან რი ბაშევით. შეტევას შეტევა მოაციობა მოწმებილ ცაჟე იქუნა და მეორე ცოლი გამოუტა. მაღ პლატინ სამინიშვილის ტრავედია დატრიალდა, როცა თვალს პატარა ნანი შეებატა.

მეორე ცოლმა წინადადება მისცა „ქმარს“ პირველ კანონიერ შეუდლეს დაუბრუნდიო.

შეგრამ, უკარიავდა, ამირანი ასე „უშიშითოდ“ არ წავა ახალი „ცოლის“ მინიდან.


— ასე გინდა მომიშორო? ბინის ორედერში შენ თვითი არ ჩამურერ? — აუზია ხმას „ინჯინერმა“, — მომეცი 15 ათასი მანეთ (ძვ. ფ.), მე ჩემზების, შენ ზერგის. მაგრამ „ცოლი“ აქაც „გაჯიუტა“. მაშინ ამირანმა სინდის-ნამუსს საზღვრები გადა-ლახა და სასამართლოს მიმიდან წილის გამოყოფა მოითხოვა. — ყოჩაღ, დურგლიშვილი სახლის აგებაზე არც დურგლად გიმეშავად და არც კალატოზად, ნახევარს კი თხოულობონ, — უცხრეს.

დურგლიშვილმა ლელო ბოლომდე ვერ გაიტანა. ორჯონებიძის რაიონის სახალხო სასამართლო კანონის საწინააღმდეგო ქორწინების აქტი გაუუმა და საგარეჯოელი ტრესტ-უანი ბინიდანაც გამოირჩა.

ვფერებით, სათანადო ირგანოები უყუადღებოდა არ დასტოებებინ იმ ქეთი ძიების, რომელიც უშებდნენ ამირან დურგლიშვილს.

ლ. აროზიძე

ნახ. გ. დოლიძისა



— რატომ აქვს თვეენს ლექსს სათაური „არაფერი აქლია“?

— ყოველთვის იმას მეუბნებით, ბატონო რედაქტორი, თვეენს ლექსს რადაც კულისათვალის და იქნება ახლა სათაურმა მაინც უშველოს!



# ლოგიკის მნიშვნელობა კულტურულ და საზოგადო ციტაციები

მოქმედი პირი

მაჩერა ხალილულინა — სიდელი  
იაყილ სოსუნოვი — სიძე  
მიხეილ იუსუბოვი — კონსპირაციული ბინის პატ-  
რინი  
მილიციის მუშავები და მიხეილ იუსუბოვის მე-  
ზონლები  
მოქმედება მიზიდინარებობს ქ. სილიციში, აზიზ-  
ხუჯიშვილი ქ. № 29-ში.  
ეკრანზე წარწერა: ფილმში მოთხოვდილი იქნება  
უცხოური საქონლით მოშმარაგებელთა მოღვაწეობის  
შესახებ.

ზამთარია არც თოვს, არც ციფა. ძევლით თბილი-  
სის კოლონიტული უბანი, აშშის გვერდის ქ. № 29 სა-  
ერთო სამშარეულოში სიძე-სიდელი.  
მაგრა ხალილულინა და იაკობ სოსუნოვი, ერთს  
ხელვეტი გურიანებს, მეორეს იატავის საჭიროდ ჯო-  
ში, არ გვერონთ ერთმანეთის საცემრად მიმწევდნენ.  
არა, მათსავის მოყვარული სიძე-სიდელი მხილოდ  
ზღაპრებში თუ ქმედა, ურდულებება ყრილ კარს  
ამიგრებენ, სამშარეულოს მაგიდის ქვეშ დევს რამ-  
დენიშე ფუთიანი.

გარდამ მილიცელები კარს აძრაუნებენ. დუმი-  
ლი, ისევ ბრახუნი, ისევ დუმილი. კარ შეამტკიცის.  
სიძე-სიდელი ტატტისევეშ ძრებიან. შეათევენ უ-  
თას მილიციის თანამშრომლები შედიან სამშარეუ-  
ლოში დაავჭივებთ ფუთა. გამოსწევენ. ფუთა არ იძ-



გრის, გამოსწევენ მაგრად, უფრო ძაგრად და გამოჩ-  
ნდება ფუთა და გამოჰყებიან ფუთაზე ხელებიაბდა-  
უსებული სიძე-სიდელი.

— წამოუმართ.  
— ფუთაზე წამოევნ.  
ხსნიან ფუთას. გამოცივდება უცხოური შალები.  
— ისია?  
— არ ვიცით.  
— რად იმალებოდით?  
— დამალობას ვთმისოდით.  
— ქა გიან სამშარეულოა?  
— მიხეილ იუსუბოვის.  
— სად არის იუსუბოვი?  
— არ ვიცით...

ყვითელაშვილების ბინა: გარედან კარები დაკეტი-  
ლია. ყვითელაშვილები შინ არ არიან, სამაგიეროდ  
მიხეილ იუსუბოვია შიგ, ფარდა გადაუშევია და თეა-  
ტრებადმოკარგლული იტყიტება, — თვალს ადევ-  
ნებს სამშარეულოს.

მილიციის სამორიგეო.. შემომკაფ მაგრა ხალი-  
ლულინა, იაკობ სოსუნოვი და მიხეილ იუსუბოვი...  
შემოაქვთ ფუთაც... ხსნიან, ითვლიან თავშლებს...  
ერთი, ორი... ორას ოცდაორი.

— სად იყიდეთ?  
— ძევს თბილისში.  
— რომელ მაღაზიაში?  
— არ გვასოვს  
— რისვის?

ეკრანზე მჩქანს დიდი კოთხვის ნიშანი.  
სიძე-სიდელის აგონება მოსკოვი, თანანთი საც-  
ხოვრებელი სახლი, ტრუბნის ქუჩა № 17. ხელაშ-  
ლილი ცხოვრება, სხვადასხვა სახის ძაფები, საკეტე-  
ბი, ფარჩეული... სხვადასხვა ეროვნების წარმომა-  
გენლები... გაცხველებული აღმ-მიცემობა... ფუ-  
ლები, ფულები და ისევ ფულები.

ხალილულინას ხელში უჭირავს უცხოური კებორუ-  
ლი თავშემალი, მას ცნობისმოყვარედ ათვალიერებუნ  
სოსუნოვი და იუსუბოვი... კუბორული თავშალი ცი-  
ხის ცხარად იქცევა.

(ჯილმის დასასრული)

სცენარისტი

## მაგრა მაგრა

ყველა ადამიანი თავისი პროფესიით ცხოვრობს, ყველას თავისი მოწოდება აქვს. თბი-  
ლისებადაქების რიგინაზეშილის ქ. № 6-ში მცირვებებ დავით იოსების-ძე მამისთვალივის  
მოწოდება კი ყაბაძება გახსნათ. რას იზამო, ზოგი დირიქტორად იმაღება, ზოგი კი სადი-  
რიგო ჯოხის გამოთლებად და ორივე მუსიკას ემსახურება. ასევე ზოგი მწყემსად იმა-  
ღება და ზოგი ყაბაძე და ორივე ხალს ემსახურება.

ცუდ დირიქტორსაც კი დირიქტორსაც დანამაშულად არ უთვლიან, არც მწყემსა — მწყემ-  
სობას, მაგრამ, რატომდაც, ათვალისწუნება მამისთვალივი და მერქ როგორი ყაბაძი —  
თვითიანაბადი, ბაჯაღლო.

საკონტაქტო უდიდებობს, თვითონ კლავს, თვითონ ატყავებს (ატყავებს მომხმა-  
რებელს), თვითონ აქნის ამო-ასოდ. და თვითონ ყიდის — ერთის სიტყვით, თვით ის  
არის და ბოლოც.

აი, 1960 წელს მამისთვალივე „შარი მოსდება“ და 1 ივნისს ხუთი წლით პატიმრობა  
მიუსახს, მერქ იუტერეს, მოზუცია, ჰერუში ჩადება, ცოდვაამ და 5 წლით პატიმრობა  
პირობითად ჰეცვალება.

თავისი ამაყობდა დავით და ჰერუში ჩასადგომი რადა ჰერნდა. ძალინაც რომ ნდომებო-  
და, ჩანაც ეც მოიშლი ხელობას და, ამიტომაც, ჩევეული ენთუზიაზმით განაგ-  
რის ძეაც-რინილი ვაჭრობა. მერქ ხორცის მაღაზის მუშაების შერით გადმოგარებუ-  
ლოდა თველები მამისთვალივის საყაბო ხელსაწყოებისა და მოწოდილობების დანახვა-  
შე: გარებები გინდა თუ სასწორები, დანები თუ ცულები, საჭრელი ეცი თუ საკიდრები.

დავითს რომ კური ეცდო, ძალიან სანდო კაცია. ვინც არ იცნობს, ისიც ენდობა. ასე,  
მაგალითად, მიმდინარე წლის საბედისწერი 17 იანვარს მურის მოედანზე გავიდა პურა-  
რილიანი ყაბაძი მამისთვალივი, მიათვალ-მოათვალიერა იქაურობა, ისეთი ძროს და-  
ლანდა, აგ თვილს არ ენაგებოდა, პატიმრობა სანდო დავითი დაღანდა და ენდო: წაიღე-  
ძმა, გაყიდე, კილოში 2 მ. და 80 კაც. მომითვალე, აწონება აღარ უნდა, ისეთი კაცი ჩა-  
ხარ, არ მომატებული.

შართალია მამისთვალივს ძროხის ხორცი არ აუწონია, მაგრამ გონების თვალით აწო-  
დაწმობად ხელსაყრელი იქნებოდა ეს მოერაცია მისთვის და მისი ხორცისმოყვა-  
რული „სისხლით ნათესავებისათვის“.

დაგათანხმა, იყოს ნება შენიო, ხელი ხელშე დაჭრა და ხორცი თავისი მეზობლის  
გარეარა სტანკოვას ბინაში მიიტანა, შენიან გავყიდი და ხორცის მოგცემო. მწვადებების სიყ-  
ვალულით აგარებარებულმა გარეარამ არ იურა და გაბარდა გატრონი.

მაგრამ ბედი უნდა კველაფერს, ნავაჭრი 43 მანეთს არც კი აღმატებოდა, რომ წაა-  
წრეს და მოახსენეს. მაღაზიაში ჰერუში დამდიდება ეს დარჩენილი 89 კილოგრამი ხორცი,  
შენ კი ჩევენთან წამობრძანდი და დაისცენება...

მამისთვალივმა აგდო დანა და თავი ჰერუშირა, კი არ გვაჭრონ, ნათესავებმა დამავა-  
ლეს, უშერიდე და ვუნაწილებო.

ნათესავებისმოყვარულ მამისთვალივს ძევლი ცოდვებიც გაუსხსნეს, იხალიც დაუდასტუ-  
რებ. და მისი ჰერუში ჩადგომის იმედდა აგარებარებულმა... სანაცვლო მიუზღვეს.

ასე შეეწირა ნეთესავების „სიყვარულს“ დავით მამისთვალივი... აბა, რა გვონიათ, მიძია!



— კიდევ დიდხანს გულოდოთ?  
— ახლავე. ძია, ხუთი წუთი დარჩა მეორე ტაომის  
დამთვრებამდე.



მაისში სრულდება დიდი  
აუქრიაჭანელი პოეტისატერ-  
რიკოსის საბირც-ლაქესტერ  
თაორ-ზაფეს დაბადების 100  
წლისთავი  
გვეძღვოთ მის ორ ნაწარ-  
მოებს.

# ება

მოლა ნასერიდინ და ჩურდი




ერთხელ გზაზე მოლას გამოსტაცეს ქუდი.  
იქვე ახლოს, ბაღში, დაიმალა ქუდი  
შემოწვა გულშე მოლას დარდი დიდი.  
სასაფლაოსაც მოწყვინდი მიღის.  
პა, გამოჩენა კიდეც სასაფლაო კარი...  
დაიმახა ხალხმა მოლა წყალი მდგარი.  
— აქ რას უცდი, მოლა? — ჰყათხს მოწიწებით —  
— გამომტაცეს ქუდი და უეუდოდ გრჩიო...  
უთხრეს: — რაღას უცდი, აქ რას დგაახარ მაშინ,  
შენი ქუდის ქუდის ხიშ გაიქცა ბაღში!  
— რა კეტები ბარში? — უპასეს მოლამ, —  
მწამ და მჯერა, ქუდი აქ უთუოდ მივა.

## პაშვიჩი

ერთ კაცსა ჰყავდა კამეჩი-ფური,  
წყლიან რძის ყიდვით აიგო ფულით.  
როცა დაიწყო დიდი წვიმები,  
რძის გასაღების გაერა იმედი.  
წყალმა სოფელი შთანთქა მოლიანად,  
იმ კაცის სახლიც კამეჩიანად.  
ვიშვიშობს, დარღობს, კვნის და ტირის.  
— დამშვიდდი, მამა! — ამშვიდებს წყილი.  
რძის ნაცვლად რავი გამყდე წყალი,  
ცოდვამ გაწია, შენა გაეცს ბრალი.  
ერთად დაგროვდა ეს წყალი ახლა,  
შენი კამეჩიც იმ წყლისვე წატევა.

თარგმანი სტ. არლუნელისა



ლამაზია თბილისის სანაპირო თავისი ფართო ქუჩითა და მოჩაურობებული სახლებით.

რენა-ბეტონის კალაპოტში მოქცეული მოლუდუნი მტკვარი დინგად მიემართება კასიის ზღვისაკენ და გრილ ნიაგ უგზავნის სანაპიროს მცხოვრებლებს. ამ წარმტაც პეიზაჟს, ზოგიერთი მუსაქის წყალობით, ხელოვნური „ტბაც“ ამზევნებს.

ეს „ტბა“, რომელიც „ნინგმა“ გადაიღო თავისი ფოტოპაპატით, სანაპიროზე მოებარეობს. მას სხვადასხვა მხრიდან ფერთდება წვიმის დროს კლიდებული ნაკადულები და დაგროვილი წყალი საშუალებას არ ძლევს მგზავრებს თავისუფლად გადაიღნენ ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე.

კარგი იქნებოდა, ვისაც ეს ეხება, უურადღება მიაწიოს ამ მდგომარეობას, ქუჩაზე აყრილი ასფალტი დაგავს და მისცეს წყალს საშუალება შეუძლებელი იქნებოს.

ზართალია, ასეთი სამუშაოს ჩატარების შეზღვე სანაპიროს მცხოვრებლებს. „ტბა“ აღარ იქნებათ, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფლად შესძლებენ სახლში მისდლას.

## ნინგა ფოტოპაპატი

# წყალის გარე

ხარიტონი ნაცემივით დაბრუნდა სამსახურიდან, ხმაამოუღებლივ  
გაიხადა პალტო და გაბუტული ბაგშევით მიჯდა კუთხეში.

...არა, მეტის მოთმენა შეუძლებელია, საზღვარი აქვს, ბოლოს  
და ბოლოს, ყველაფერს. ხარიტონი არავის არ დააჩაგრინებს თავს.  
დამიხედვეთ ვაჟაპატონს, ორი თვეუც არ გასულა, რაც დააწინაურეს და  
უკვე... არა, მაინც რატომ მოიქცნენ ასე, მოსვენებას არ აძლევს  
ამაზე ფიქრი. უხეში ხარო, თანამშრომლებს უყვირიო. აფსუს, ხა-  
რიტონ, რას მოესწარი. შენზე ამბობენ ამას, შენზე. თუ უხეშობამ  
დამღება, მაშინ ნახონ...

საჩქაროდ ჩაიკეტა ოთახში და ბოლომა ქაღალდზე გადაიტანა:  
ამა და ამ დაწესებულების ახალი მმართველი უხეშია, თანამშრომ-  
ლებს აბუჩად იგდებს... — შემდევ მარცხენა ხელით გადაწერა, კონ-  
ვერტში ჩადო და მეზობელს გაატანა საფოსტო ყუთში ჩასაგდებად...  
ბედი მაქესო, ხარიტონმა თქვას: ერთი კვირაც არ გასულა, მმარ-  
თველი სხვაგან გადაიყვანეს. მის ადგილზე კი თვითონ დანიშნეს.  
გაიხარა, ცას ეწია სიხარულით.

ბაგრამ, ეს რა არის... ხარიტონის იბარებენ, შენზე ხელმოუწერე-  
ლი წერილია შემოსული, უხეშობს, თანამშრომლებს აბუჩად იგ-  
დებო...  
...წერილს დახედა, ელდა ეცა, შეშლილივით გამოვარდა გარეთ  
და... მეზობელს მიაშურა...

მას წერილი მივლინებაში წასელის დროს თან გაპყოლოდა და  
სამი კვირის დაგვიანებით ჩაეგდო საფოსტო ყუთში.

გ. ჩხეიძე

უკლიუცის ზე და მარიფათი უნდა. მაგრამ ეგ მარიფათისანი ზე  
ლემრთს რომ უკელისათვის არ მიუცია, ეს პალონის ქ. № 14 სახლის  
მცხოვრებლების მცირე ნაწილმა თვალნათლი დამტკიცა. სახლი ამ თო-  
ნიოდე წლის წინათ შევიდა ექსპლოატაციაში და სახლში 50-მდე ოჯახი  
შევიდა საცხოვრებლად. ვისაც ზე და მარიფათი შეკონდა, დაუყოვნებლივ  
გაიცრნენ ეჭოში და მისი ნაწილი შემოვარეოდნებს. აქა-იქ სეები ჩაყარებს.  
ჩათესებს ქინია და თხრახუში, ნორი და ნიახური, ბახვი და ხოლოე და  
შეზღუდეს ბავშვების სათამაშო მოედანი.

დანარჩენა მეზობელებმა სამართლიანად მოითხოვეს, საერთო ეჭო  
და ეზოდ უნდა დარჩეს, რა დროს ნაკვეთების მითვისებამ, მაგრამ კი  
უგდო უური?

ეჭოში სხვის სეირნობას, მებოსტნე მეზობლებმა ქინის წყალი და ნი-  
აზუალი ამზობინეს.

კოორდ ქობია!



სარჩევაში კოლეგია: 6. დუმბაძე, 6. კლდიაშვილი,

6. მალაზონია, 8. ქარჩავა, 9. კელიძე.

ხა. კპ ცენტრალური  
კომიტეტის  
გამომცემლობა

რიდაგტორი 6. შველიძე.

თბილისი. სატიროსა და იუმორის უურნალი „ნიანგი“. თბილის. სატირიკ-იუმორის ჟურნალ „ნიანგი“. თბილის. სატირიკ-იუმორის ჟურნალ „ნიანგი“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველი გამზ. № 42. ფელეფონები: რედაქტორის — 1-76-69, ხაერთო განყოფილების — 8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 2/IV-1962 წ. ქად. ზომა 70X108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა  
რაოდენობა 1, ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფიულმშენიარი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 886, უ 02521 ტირაჟი 40000

ინგლისის ბიუჯეტის დაუ ჩრდილო საჭირო  
ხედრო ხარჯებს ხმარდება.  
ბირთვულისა და კულტურული მუნიციპალიტეტის  
ბირთვულისა და კულტურული მუნიციპალიტეტის

